უშედეგო ტერიტორიული უპირატესობა

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 19 სექტემბერი.

“დინამო” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) _ 3:1 (3:1).

მოსკოვი: პილგუი, შტაპოვი, სმირნოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ეშტრეკოვი, კოზლოვი, ავრუცკი, უტკინი, ევრიუჟიხინი.

თბილისი: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მაჩაიძე (მჭედლიშვილი), ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები _ 2:2.

ჯერ გოლების შესახებ. მიმდინარეობდა მე-7 წუთი, როცა ევრიუჟიხინმა (იგი ამ მატჩში უმთავრესად ნახევარდაცვაში თამაშობდა) ზუსტად მიაწოდა ბურთი ავრუცკის. მოსკოველმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მოუგო საჰაერო ბრძოლა სტუმრების ტანმაღალ სტოპერებს და თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში _ 1:0.

მე-10 წუთზე ილიადიმ, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ მეტისმეტად სახიფათოდ დაარტყა და აიძულა პილგუი თავგანწირული ნახტომით ეხსნა თავისი კარი, კიდევ ერთხელ დაარტყა შორიდან და გოლი გაქვითა.

1:1 _ თამაშის დაწყებიდან კი სულ 10 წუთი იყო გასული. მაგრამ ტრიბუნებზე ჯერ არც მიწყნარებულიყო მაყურებელთა ხმაური, როცა მასპინძლებმა ისევ შეძლეს დაწინაურება: ევრიუჟიხინი ფლანგზე გავიდა თითქმის პირით ხაზთან და მიაწოდა ცენტრში. ხურცილავა და კანთელაძე არ იდგნენ სწორ პოზიციაში, სტეფანია არ გამოვიდა კარიდან და ავრუცკიმ მეორედ ისევ თავით გაიტანა გოლი _ 2:1.

ტაიმი მიიწურა და მსაჯს ის-ის იყო შესვენების ნიშანი უნდა მიეცა, როცა ევრიუჟიხინმა მორიგი კომბინაცია წამოიწყო. მისგან ბურთი მიიღო კოზლოვმა, გადასცა ავრუცკის და... არბიტრმა ცენტრისკენ აჩვენა _ 3:1.

როცა მოთამაშეს ერთ მატჩში 3 გოლი გააქვს, ამას საერთაშორისო საფეხბურთო ენაზე “ჰეტ-თრიკი” ჰქვია. მაგრამ ავრუცკის დამსახურებას საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი: მან თავისი ეს “ჰეტ თრიკი” შეასრულა არა მთელი მატჩის მსვლელობაში, არამედ მხოლოდ შეხვედრის პირველ ნახევარში და ეს მაშინ, როცა წლევანდელი ჩემპიონატის ერთ მატჩშიც 3 ბურთი ჯერ არავის გაუტანია.

თბილისის “დინამომ” ეს მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა წააგო. გუნდს თავისი საზრუნავი აქვს და დასკვნებსაც გააკეთებს. მაგრამ ჩვენ, ამ მატჩის მაყურებლებმა, სრული ობიექტურობით უნდა ვთქვათ, რომ თამაში იყო ძალიან საინტერესო, შინაარსიანი, დაძაბული ბრძოლით აღსავსე და სტუმრებს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ ავრუცკის მიმართ, ეჭვი არაა, ანგარიში სულ სხვა იქნებოდა.

საერო ტერიტორიული უპირატესობა, უდავოდ, თბილისელებს ჰქონდათ. ისინი გაცილებით მეტ ხანს ფლობდნენ ბურთს, მათი ნახევარმცველები აქტიურად, გაშლილად მოქმედებდნენ, წინა ხაზზე შეუდარებელი იყო მეტრეველი. სახიფათო მომენტები მოსკოველთა კართან მრავლად შეიქმნა, მაგრამ მასპინძლებმა უკეთ შეძლეს თავიანთი კონტრიერიშების გამოყენება, ამასთან, კარგად ისარგებლეს თბილისელთა მცველების სუსტი, შეუთანხმებელი თამაშით.

ვ. პავლოვი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 22 სექტემბერი, 1970 წ.